

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

___ / _____, 202__ წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, [.] მიერ

და

შპს/სს „_____“ (ს/კ _____; შემდგომში - „კომპანია“/“კერძო ინიციატორი“), წარმოდგენილი დირექტორის, [.] მიერ,

შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე“ და ერთად, როგორც „მხარეები“, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში წოდებული, როგორც „ხელშეკრულება“).

პრეამბულა:

ვინაიდან, 20__ წლის _____ შპს/სს „_____“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (შემდგომში - „სამინისტრო“) წარმოადგინა საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული „საინიციატივო შეთავაზება“ რეგიონი მუნიციპალიტეტი მდინარე/არეალი „ელექტროსადგურის“ პროექტის განხორციელებით დაინტერესების თაობაზე „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №556 დადგენილების შესაბამისად (შემდგომში - „პროექტი“);

ვინაიდან, „საინიციატივო შეთავაზების“ საფუძველზე სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება „ელექტროსადგური“-ს პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირების თაობაზე და შესაბამისად, შესაძლოა, მომავალში კონკრეტული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება „ელექტროსადგური“ პროექტის განხორციელების თაობაზე გაფორმდეს კერძო ინიციატორთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით;

ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სრულად და ჯეროვნად შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლის შედეგად, საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდება „მშენებლობის დაწყების შესახებ შეთანხმება“, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №556 დადგენილების შესაბამისად სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კომპანიას შორის გაფორმდება ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება, იმ ტარიფით, რა ტარიფითაც მოხდება კომპანიის გამარჯვებულად დასახელება სიმძლავრის აუქციონში ან იმ ტარიფით, რა ტარიფიც დადგინდება სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში წარდგენის შემდგომ.

ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 202__ წლის _____ №__ განკარგულებით მოწონებულ იქნა „ელექტროსადგური“-ს პროექტის კონცეფცია და სამინისტროს დაევალა „ელექტროსადგური“-ს ელექტროსადგურის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების მომზადება) თაობაზე საქართველოს მთავრობასა და შპს/სს „_____“-ს შორის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა;

მხარეები თანხმებიან შემდეგზე:

1. მიზანი

ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული „ელექტროსადგურის“ პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების მომზადება) განხორციელება და პროექტთან დაკავშირებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებითა და პირობებით წარმოდგენა სამინისტროსთვის, რომელიც უზრუნველყოფს მოსამზადებელი ეტაპით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 2.1. კერძო ინიციატორი ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებულ ვადებში, თავისი ხარჯით უზრუნველყოფს „ელექტროსადგურის“ პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების) განხორციელებას და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის სამინისტროსთვის წარმოდგენას.
- 2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების განხორციელებას.

3. საბანკო გარანტია

- 3.1. კერძო ინიციატორის ვალდებულებების, მათ შორის, ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მთავრობის სასარგებლოდ სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 10,000.00 (ათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით (წინასამშენებლო გარანტიის წარდგენის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად). საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადას უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) თვით. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან/და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.
- 3.2. კერძო ინიციატორის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა (გარდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა) გამოიწვევს კერძო ინიციატორისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას საბანკო გარანტიის მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სამინისტრო უფლებამოსილია წერილობით გააფრთხილოს კერძო ინიციატორი, რომელშიც განუსაზღვრავს დარღვევის გამოსწორების ვადას და პირგასამტეხლოს ოდენობას. კერძო ინიციატორი ვალდებულია დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
- 3.3. მთავრობა უფლებამოსილია საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ და აცნობოს კერძო ინიციატორს ამის თაობაზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ა) კერძო ინიციატორმა შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების 3.2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა იმავე პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლო - გადაუხდელი პირგასამტეხლოს ოდენობით;
 - ბ) მთავრობა მე-4 მუხლის შესაბამისად წყვეტს ხელშეკრულებას - არსებული საბანკო გარანტიის სრული ოდენობით.
- 3.4. ხელშეკრულების 3.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძო ინიციატორი ვალდებულია 30 დღის ვადაში შეავსოს საბანკო გარანტია 3.1 პუნქტით დადგენილ ოდენობამდე.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 4.1 მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კერძო ინიციატორისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 4.1.1 კერძო ინიციატორმა განმეორებით ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ან/და დაწესებულ ვადაში არ გადაიხადა პირგასამტეხლო;
 - 4.1.2 კერძო ინიციატორზე დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამი შეადგენს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50%-ს;
 - 4.1.3 კერძო ინიციატორის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
 - 4.1.4 კერძო ინიციატორი ხელშეკრულების 3.4 ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში არ შეავსებს საბანკო გარანტიას ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილ ოდენობამდე.

5. მთავრობის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

- 5.1. კერძო ინიციატორს ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა ხელშეკრულებით 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების უფლება;
- 5.2. კერძო ინიციატორის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშსა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კერძო ინიციატორის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება (მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება) უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

- 6. კერძო ინიციატორის მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილ ვადაში და პირობებით საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ავტომატურად წყდება, რის თაობაზეც სამინისტრო აცნობებს კერძო ინიციატორს.

7. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

8.1 ნებისმიერი დავა, რომელიც მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა მიერ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

8.1.1 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების მიზნით მხარეებს განესაზღვროთ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღე.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.3 ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედება და ცვლილებები

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

9.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

შპს/სს „_____”

დანართი №1

დასახელება	ადგილმდებარეობა	ნიშნულები		წლიური გამომუშავება მლნ. კვტ. სთ	სიმძლავრე მგვტ
„ელექტროსადგური“	რეგიონი/მუნიციპალიტეტი				

დადანართი N2

ჰიდროელექტროსადგურის დასახელება:	ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე	ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე	ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე	ხელშეკრულების ხელმოწერიდან თვე
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები				
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება				
გეოლოგია, გეოფიზიკა				
სეისმური რისკის ანალიზი				
სამშენებლო მასალების კვლევა				
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები				
ჰიდრავლიკური კვლევები				
ალტერნატიული ანალიზი				
ტექნიკური დიზაინი				
ინფრასტრუქტურა				
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება				
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი				
სამუშაოების მოცულობის უწყისი და ხარჯთაღრიცხვა				
მშენებლობის ორგანიზირება				
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი				
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება და წარდგენა				
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა				
საჯარო განხილვების შედეგებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აქტის წარდგენა				
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა				
პროექტის განხორციელების თაობაზე ფინანსური მოდელის შედგენა და წარდგენა				
ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე წინადადების წარდგენა				